საქართველოს კანონი

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№27–30, მუხ. 575) 5^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვისა (რომელიც მიღებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ან/და საქართველოს პარტნიორ ქვეყნებთან შეთანხმებით დადგენილი კვოტების ფარგლებში), რომელიც გაიცემა საქართველოში რეგისტრირებულ გადამზიდველზე. ამ ნებართვის გაცემის წესი მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

29 დეკემბერი 2021 წ.

N1267-VIIრს-Xმპ